მე ვაკეთებ არჩევანს

ჩანართი მომზადებულია საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის პროექტის „რეგიონული მედია საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისათვის“ ფარგლებში და დაფინანსებულია „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრის“ მიერ.

სექტემბერი, 2016 წელი

8 ოქტომბერს პარლამენტს ვირჩევთ

8 ოქტომბერს საქართველოში პარლამენტის არჩევნები ტარდება. ნებისმიერმა მოქალაქემ იცის, რომ საქართველოს პარლამენტი იღებს კანონებს, მაგრამ რის გაკეთება შეუძლია საქართველოს პარლამენტის წევრს ამომრჩევლისათვის და, საერთოდ , რა უფლებამოსილებით ვირჩევთ ჩვენს რჩეულებს, ამის თაობაზე ამომრჩევლებში საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენაა.
გთავაზობთ საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებების მოკლე მიმოხილვას - რისთვის ვირჩევთ და რა უფლებამოსილებებით 2016 წლის 8 ოქტომბერს პარლამენტის დეპუტატებს?!

ვის ვირჩევთ?!

საქართველოში ხელისუფლების წყარო არის ხალხი და ეს პრინციპი განმტკიცებულია უმაღლესი კანონის - კონსტიტუციის ჩანაწერით. თავის მხრივ, ხალხი ხელისუფლებას ახორციელებს უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმებით, მათ არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას (მარტივად რომ ვთქვათ, ის ჩვენი სახელით იღებს სხვადასხვა სახის კანონებს); განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; ასევე, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს პარლამენტი შედგება 150 წევრისაგან, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით. პარლამენტის წევრების არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით.

საკანონმდებლო ორგანო კომპლექტდება ორი წესით: პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით. ამომრჩეველი პროპორციული სისტემით (ანუ პარტიული სიით) ირჩევს 77 დეპუტატს, ხოლო მაჟორიტარული სისტემით - 73 პარლამენტის წევრს.

რა უფლებამოსილებით ვირჩევთ?!

რაც შეეხება პარლამენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს, მისი განსაკუთრებული უფლებამოსილებაა, განახორციელოს ხალხის მიერ უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების სახით მისთვის მინდობილი ინტერესები, საპარლამენტო კონტროლი და განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

პარლამენტის პრეროგატივა საკმაოდ ფართეა, თუმცა ეს ისეთი შინაარსის უფლებამოსილებებია, რომლებიც ატარებენ ზოგად, ფუნდამენტურ ხასიათს, მათ შორის:

- საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვა; კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცება და საერთოდ, საკანონმდებლო საქმიანობა;
- ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის/უნდობლობის გამოცხადება და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი;
- საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის დადგენა;
- საქართველოს მთავრობისათვის სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა და მისი მოსმენა;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირება ან მათთან შეერთება, მათი დენონსირება, გაუქმება;
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის, ომისა და ზავის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების დამტკიცება;
- ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეების, ოდენობებისა და შემოღების წესების დადგენა, გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან განთავისუფლების, საფასურების შემოღების წესების დადგენა;
- საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტის ერთ-ერთი პრეროგატივა - მთავრობისათვის ნდობის ან უნდობლობის გამოცხადება.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

8 ოქტომბერს საკრებულოს შუალედური და გამგებლების რიგგარეშე არჩევნებიც გაიმართება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საკრებულოს შუალედური არჩევნები 8 ოქტომბერს დანიშნა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნები წალკის, ჭიათურის, აბაშის, კრწანისის, ისნის, გლდანისა და ზუგდიდის ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში ჩატარდება.

გარდა ამისა, ბოლნისის, ქალაქ ახალციხის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის საარჩევნო ოლქებში საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნები გაიმართება.

არჩევნები მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ჩატარდება.

საკრებულოს შუალედური, ასევე მერის და თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ყველა საარჩევნო ოლქშიმოხდა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებისთვის, მერისა და გამგებლებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო.

საერთო ჯამში, საკრებულოს შუალედური არჩევნები ჩატარდება 7 ადგილობრივი საარჩევნო ოლქის 106 საარჩევნო უბანზე, ხოლო მერის და თვითმმართველი თემის გამგებლების რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება 263 საარჩევნო უბანზე.

მაკა ჩინიჯიშვილი

საარჩევნო მოლოდინები ქუთაისიდან

მარიამ შარაშენიძე, სტუდენტი: 8 ოქტომბერს ვირჩევთ ახალ პარლამენტს, ახალ მაჟორიტარებს და დეპუტატებს. არჩევანზე არ ვისაუბრებ, რადგან არ მყავს შერჩეული კანდიდატი. ვნახოთ, რა პროგრამებს შემოგვთავაზებენ, რა იქნება მათი დაპირებები, რამდენად შესრულებადი და ამის მიხედვით გავაკეთებ არჩევანს. ველოდები, რომ ბევრი პარტია შევა პარლამენტში. მგონია, მეტად გააკონტროლებენ ოპონენტების საქმიანობას და საერთო საქმეს წაადგება.

თამთა ნოდია, სტუდენტი: საპარლამენტო არჩევნებია და მაჟორიტარებს ოთხი წლის ვადით ვირჩევთ. არჩევნები 8 ოქტომბერს გაიმართება. წელს ქუთაისი სამ მაჟორიტარს ირჩევს. მე მხარს ვუჭერ გიორგი ვაშაძის „ახალ საქართველოს“. მოლოდინიც შესაბამისი მაქვს, რომ „ახალი საქართველო“ მოხვდება პარლამენტში. რაც შეეხება საარჩევნო გარემოს, ჯერჯერობით, არ შეიმჩნევა რაიმე მნიშვნელოვანი აქტივობები. ალბათ, სექტემბრიდან გააქტიურდებიან.

თეონა სინატაშვილი:
მგონი საპარლამენტო არჩევნებია. რომ გითხრათ, გათვიცნობიერებული ვართქო, მოგატყუებთ, მაგრამ საარჩევნო კამპანიიდან გამომდინარე, მაქვს ზოგადი ინფორმაცია. ვიცი, რომ პარლამენტს ოთხი წლის ვადით ირჩევენ. ქუთაისსაც ჩვეულებრივად ერთი მაჟორიტარი ეყოლება. ჯერ არ ვიცი, ვის მივცემ ხმას. მოლოდინზე არ მიფიქრია, თუმცა არაა გამორიცხული, მმართველმა პარტიამ გაიმარჯვოს და უმრავლესობით შევიდეს პარლამენტში.

სოფიო ჯინჭარაძე, სტუდენტი): წელს საპარლამენტო არჩევნებია. შესაბამისად, მაჟორიტარ დეპუტატებს ვირჩევთ. რა თქმა უნდა, ვიცი, ვის მივცემ ხმას და მყავს ფავორიტიც, თუმცა, ჯერჯერობით, ღიად არ ვსაუბრობ. მოლოდინს რაც შეეხება, რაიმე განსაკუთრებულს არ ველოდები, ალბათ, იქნება მრავალპარტიული პარლამენტი.

ნესტან ჩაგელიშვილი

ბორჯომიდან

მანანა ღამბარაშვილი, 55 წლის:
– ვოცნებობ, რომ არ ვიცხოვროთ სიღარიბეში და ურთიერთპატივისცემით გამოვხატავდეთ ჩვენს დამოკიდებულებას, რისთვისაც არ ვისჯებოდეთ. არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მაგრამ არჩევნებზე მივალ და ჩემს არჩევანს დავაფიქსირებ, ხოლო კანდიდატებსა და პარტიებს ვუსურვებ, რომ ღირსეულად მოეპოვებინოთ გამარჯვება.

ციური ჩხიკვაძე, 60 წლის:
– ,,ოცნებას“ შემოვხაზავ. მათი დახმარების იმედი მაქვს. მაქსიმუმს აკეთებენ ქვეყნისთვის. მჯერა, რომ რისი გაკეთებაც ამ ოთხ წელიწადში ვერ მოასწრეს, მომდევნო ოთხ წელში გააკეთებენ.

ჯემალ გელაშვილი, 65 წლის:
– მე არჩევნებზე აუცილებლად წავალ, ჩემს უფლებას გამოვიყენებ და ვინც ღირსეულად მიმაჩნია მას დავუჭერ მხარს. ჯერჯერობით, ზუსტად არ მაქვს გადაწყვეტილი 8 ოქტომბერს, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიასა და სუბიექტს შემოვხაზავ, დავაკვირდები და მერე გადავწყვეტ. თუმცა გეტყვით, რომ ამ დროისთვის ყველაზე მეტად ნინო ბურჯანაძეს ვენდობი.
კარგის მოლოდინი არ მოგვაკოლოს უფალმა, უმუშევრობის დასაძლევად გავერთიანებულიყავით და არა მხოლოდ ხმების მოსაპოვებლად. მარტო დღეს არა, ყოველთვის გვახსოვდნენ ადამიანები, რომლებიც შიმშილს ებრძვიან, და ამასთან, სამსახურსაც ვერ შოულობენ.

იზა იანვარაშვილი

8 ოქტომბერს პარლამენტს ვირჩევთ

პირველ გვერდიდან

სიახლე მაჟორიტარული არჩევის წესში

ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტში ვირჩევთ, 150 დეპუტატს. მათგან ნაწილი ირჩევა პარტიული სიების საფუძველზე, ნაწილი კი - მაჟორიტარული წესით.
მაჟორიტარული არჩევის წესი მანამდე დაკავშირებული იყო მუნიციპალიტეტის საზღვრებთან, თუმცა დღეს ეს შეიცვლილია - შესაძლოა, ერთი და იგივე მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს სხვადასხვა მაჟორიტარი კანდიდატისთვის მოუწიოს ხმის მიცემა. მაგალითად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფელი ერთ მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს, დანარჩენები კი - ხარაგაულის და ბაღდათის მუნიციპალიტეტთან ერთად - სხვა მაჟორიტარს.
ასეთი რამ იმ საკნონმდებლო ცვლილებების შედეგია, რომელიც ცოტა ხნის წინ განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების მიზნით. 2015 წლის 28 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ადგენდა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესს და მიიჩნია, რომ ის წესი, რომლითაც აქამდე მაჟორიტარ დეპუტატებს ვირჩევდით, არაკონსტიტუციური იყო და არ უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა ხმის თანაბარ წონას. კერძოდ, საარჩევნო ოლქებში არ იყო რეგისტრირებული თანაბარი რაოდენობის ამომრჩეველი და სხვადასხვა ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩევლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ერთნაირად მოეხდინათ გავლენა არჩევნების შედეგებზე.
მაგალითად, საბურთალოს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული 128 545 ამომრჩეველი ირჩევდა ერთ მაჟორიტარ დეპუტატს, ხოლო ყაზბეგის საარჩევნო ოლქში ერთ მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევდა მხოლოდ 5 810 ამომრჩეველი. ამდენად, ყაზბეგის ამომრჩევლის ხმა 22-ჯერ უფრო წონადი იყო, ვიდრე საბურთალოსი, რაც აშკარად მეტყველებდა სისტემის დისკრიმინაციულობაზე.
ზოგადად რომ აღვნიშნოთ, არჩევნების ორგანიზების მიზნით, იქმნება თავისებური ადმინისტრაციული დანაყოფები - საარჩევნო ოლქები. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი კი არის სპეციალურად საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ერთმანდატიანი ოლქი (ერთმანდატიანი ნიშნავს იმას, რომ ერთი ოლქი ირჩევს პარლამენტის ერთ წევრს). სწორედ აღნიშნული ოლქების საზღვრებში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის თავიდან ჩამოყალიბდა, რისი მიზანიც იყო ამომრჩეველთა ხმების ძალა ადეკვატურად ასახულიყო მანდატის წონაში და მიღწეული ყოფილიყო ე. წ. „ხმის თანაბრობა“.
ვინაიდან მანდატების რაოდენობა იგივე დარჩა და პარლამენტის წევრთა რაოდენობა არ შეცვლილა, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამო განხორციელებული ცვლილებების შედეგად მივიღეთ ის, რომ ზოგიერთი მაჟორიტარული ოლქი ან გამსხვილდა ან შემცირდა ამომრჩეველთა რაოდენობის გათანაბრების მიზნით და ამიტომ შეიცვალა მხოლოდ ოლქის საზღვრები. ამის გამო კი გვერდიგვერდ მდებარე სოფლები, რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში მოხვდნენ.

საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი

ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტების თანახმად, მანდატი წარმოადგენს ვისიმე რწმუნებულობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ამრიგად, **დეპუტატის მანდატი გულისხმობს იმ დელეგირებულ უფლებათა ერთობლიობას, რომელსაც იგი ხალხისგან იღებს** (საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში ხელისუფლების წყარო არის ხალხი) და რომელიც წარმოადგენს იმ უფლებების და მოვალეობების, პრივილეგიათა და პასუხისმგებლობათა ერთადერთ საფუძველს, რომელიც, ჩვეულებრივ, პარლამენტის წევრს გაეჩნია. პარლამენტის წევრის მანდატი შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც უფლება, იყო პარლამენტარი, ანუ წარმოადგენდე ხალხს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და ხალხის სახელით მიიღო კანონები. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. კონსტიტუციის ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტში არჩევის შემდეგ, პირი არის არა პარტიის ან მუნიციპალიტეტის (მაჟორიტარული წესით არჩევის შემთხვევაში), არამედ სრულიად საქართველოს წარმომადგენელი და ამომრჩევლის მიერ მისი გამოწვევის მექანიზმები არ არსებობს. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ პარლამენტის წევრი თავისუფალი იყოს ნებისმიერი სახის გავლენისაგან და მხოლოდ საკუთარი შეხედულებების, სინდისის და რწმენის საფუძველზე განახორციელოს მისთვის ხალხის მანდატით მინიჭებული უფლებამოსილებები.
ასევე, უფლებამოსილებების თავისუფლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, პარლამენტის წევრს გააჩნია იმუნიტეტი - მისი დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.
გარდა ამისა, უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.
თუმცა, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ პარლამენტის წევრს პრივილეგიებთან ერთად აქვს კონკრეტული შეზღუდვებიც. მაგალითად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი. ამ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

რა უფლებამოსილება აქვს პარლამენტის წევრს?!

პარლამენტის წევრის ყველაზე მთავარი და ძირითადი უფლებამოსილება არის ხალხის სახელით მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში და აღმასრულებელი ხელისუფლების (საქართველოს მთავრობის) საპარლამენტო კონტროლში. ამისათვის კი მას აქვს რიგი მექანიზმები, კერძოდ:
პარლამენტის წევრი უფლებამოსილია, კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას და მიიღოს მათგან პასუხი.
პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს ან საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ, შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან, უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.
პარლამენტი უფლებამოსილია,რომ პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი (პრემიერ-მინისტრი).

როდისაა შესა*ლებელი საქართველოს პარლამენტის დათხოვნა

საქართველოს პარლამენტის დათხოვნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და ეს ძირითადად დაკავშირებულია მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებასთან. მარტივად რომ ვთქვათ, თუკი პარლამენტი ვერ მოახერხებს, ნდობა გამოუცხადოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს - საქართველოს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. ეს მექანიზმი გათვალისწინებულია ერთადერთი მიზნით - არ შეიქმნას ვაკუუმი ხელისუფლებაში, თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკური კრიზისი და ქვეყანას ჰყავდეს ლეგიტიმური, ხალხის ნდობით არჩეული ხელისუფლება.

რას ფიქრობენ საპარლამენტო არჩევნებზე ახალციხეში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოქალაქეები

ისკუი მელქონიანი

ვაგინაკ კირაკოსიანი

სიმონ არაქელიანი

მარტინ კირაკოსიანი

8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ახალციხეში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მოლოდინები არაერთგვაროვანია. მათი ნაწილი ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესებას ელოდება, ნაწილი კი ფიქრობს, რომ არჩევნებით არაფერი შეიცვლება.

„თუ არჩევნები იქნება, წავალ. სულ დავდივარ ხოლმე, ჩემი ვალია. ვფიქრობ, რომ ბევრი რამე შეიცვლება და ცხოვრებაც უფრო ადვილი გახდება არჩევნების შემდეგ. ვიცი, ვისაც უნდა მივცე ხმა, მაგრამ არ მინდა, რომ ვთქვა.“– ამბობს **ისკუი მელქონიანი.**

ეთნიკური უმცირესობის წარმოამდგენლები ამბობენ, რომ მხოლოდ იმ პარტიებს იცნობენ, რომლებიც მათთან ხშირად მიდიან. შესაბამისად, არჩევანსაც მათთვის ყველაზე ცნობილ პარტიებს შორის აკეთებენ.

„აუცილებელია, რომ ყველანი წავიდეთ, მაგრამ რა შეიცვლება, საქმე ეგ არის. კარგი იქნება, რომ ცოტა პენსიები დაგვიმატონ, წყალი არ არის და გაგვიკეთონ, მაგისთვის მივალ არჩევნებზე. 41 და 5 ნომერი ვიცი, დანარჩენი — არა და ჩემი არჩევანიც მაქვს.“ – განმარტავს **ვაგინაკ კირაკოსიანი**.

მოქმედი მთავრობით უკმაყოფილოა გამოკითხული მოსახლეობის ნაწილი.

„არჩევნების წინ თუ რამე გაკეთდა, ეს არის, სხვა დროს არაფერი კეთდება. მე ეს მთავრობა არ მომწონს, სააკაშვილი მომწონდა და ისევ იმას უნდა მივცე ხმა. იმან ბევრი რამე გაგვიკეთა: გზები, ქალაქში შუქი ჩართო, რაბათი გაგვიკეთა... ახლა ჩვენს ქუჩაზე, ჭყონდიდელზე, პრობლემა გვაქვს და არავინ არ მოდის, რომ მოაგვაროს. თუ ისევ ძველები მოვლენ, ისინი გააკეთებენ,“ – მიიჩნევს **სიმონ არაქელიანი.**

ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ნაწილი კი მმართველი პარტიის მუშაობით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ ამ მთავრობის პირობებში ისინი ეროვნული ნიშნით არავის გამოურჩევია.

„ყველა უნდა მივიდეთ არჩევნებზე და ჩვენი წვლილი შევიტანოთ. მე მომწონს, როგორც მუშაობს ეს მთავრობა და ხმასაც ისევ მაგათ მივცემ. დაგვასაქმეს და კმაყოფილები ვართ. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ეროვნების ვართ, არასდროს მიგრძვნია ეს ეროვნული განსხვავება. ჩვენს ენაზე საარჩევნო ინფორმაცია არის და ვეცნობით.“ – განმარტავს **სუსანა ბაბაიანი.**

უკეთესი მომავლის იმედი არ აქვს ახალციხეში მცხოვრებ **მარტინ კირაკოსიანს.** „რა აზრი აქვს, რომ წავიდე, ყველაფერი ისევ ასე იქნება“, — ამბობს ის.

თამარ ფეიქრიშვილი

რა იციან არჩევნების შესახებ საგარეჯოში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა

ალმით იაგუბოვი

ელვინ კარიმოვი

მედიევ მამედოვი

როვლან ქელენდაროვი

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც 8 ოქტომბერს უნდა გაიმართოს სულ ცოტა დრო რჩება, თუმცა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ამ დრომდე არ იციან ვისი არჩევა მოუწევთ. მათი თქმით, ერთ–ერთი მთავარი პრობლემა სახელმწიფო ენის არცოდნაა.

ალმით იაგუბოვი (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს მკვიდრი): ,,არ ვიცი, რა არჩევნები ტარდება, რადგან ჩვენთან არ მოდის ინფორმაცია, არც არავინ მოსულა, რომ ეთქვა. მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის, ვინ უნდა აირჩიოს. ეს იმის ბრალია, რომ არ ვიცით ქართული ენა და ეს გვიქმნის დიდ პრობლემას.''

მედიევ მამედოვი (იორმუღანლოს მკვიდრი): ,,არავისი იმედი აღარ გვაქვს. ბევრი კანდიდატი მოვიდა, დაგვპირდა პრობლემებს მოგიგვარებთ, გზებს დაგიგებთო, ჩვენც მხარს ვუჭერდით, მაგრამ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჩვენთან აღარავინ მოსულა. არავისი იმედი აღარ გვაქვს. არ ვიცი რა არჩევნები ტარდება, მაგრამ თუ მოვლენ და გაგვესაუბრებიან, ხმას იმას მივცემ, ვისაც მართლა უნდა ჩვენი პრობლემების მოგვარება და დახმარება.''

ელვინ კარიმოვი (იორმუღანლოს თემის სოფელ დუზაგრამას მკვიდრი, სტუდენტი): “ვიცი, რომ საპარლამენტო არჩევნები მოდის და მუნიციპალიტეტიდან პარლამენტის დეპუტატი უნდა ავირჩიოთ. ჩემი აზრით, ის უნდა გახდეს დეპუტატი და იმ კანდიდატმა უნდა გაიმარჯვოს, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე და მათი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებს.''

როვლან ქელენდაროვი (სოფელ დუზაგრამას მკვიდრი): ,,ვიცი რომ მალე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება და მუნიციპალიტეტის დეპუტატის არჩევა მოგვიწევს. ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, ვის ავირჩევ, ალბათ, იმას, ვინც პრობლემების მოგვარებას დაგვპირდება.''

მაკა ხაზიური

ცესკო ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებზე

ცესკოში შშმ პირებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის კოორდინირებულ საქმიანობას ახორციელებს ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი. სამუშაო ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს ცესკოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯ გუფის დებულებით.

შშმ პირთა მიმართ განსახორციელებელი საქმიანობები გათვალისწინებულია ცესკოს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.

შშმ ამომრჩევლებისთვის კენჭისყრის დღეს ხელმისაწვდომია

- **მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის** - ყველა საარჩევნო უბანზე გამადიდებელი ლინზა;
- **ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის** - იდენტიფიცირებულ საარჩევნო უბნებზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინები;
- **სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის** - არჩევნებში მონაწილეობის პროცედურის შესახებ პოსტერი.

იმ შემთხვევაში, თუ ეტლით მოსარგებლე და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლები მომართავენ საარჩევნო ადმინისტრაციას, ზოგიერთ უბანზე შესაძლებელი იქნება პორტატული (მოძრავი) პანდუსის განთავსება.

შშმ ამომრჩევლების ინფორმირება

- ცესკოს მიერ მომზადებული ყველა ვიდეო-რგოლი ხელმისაწვდომია სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა);
- საარჩევნო პერიოდში, ბანერში „საარჩევნო რუკა“ განთავსებულია დეტალური ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი იმ საუბნო საარჩევნო კომისიების შესახებ, რომლებიც ადაპტირებულია (იხილეთ ბმული: http://map.cec.gov.ge/)

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის 1[1] პუნქტის შესაბამისად, სათანადო შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოიყოს, რომელიც ყველა ამომრჩევლისთვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საარჩევნო უბნებზე ცესკო უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.

ცესკოს 2012 წლის 21 ივნისის №20/2012 დადგენილებით დარეგულირებული აქვს იმ კატეგორიის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის პროცედურა, რომლებიც ზედა კიდურების არქონის გამო ვერ ახერხებენ ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას. აღნიშნულ დადგენილებაში, ცვლილება შევიდა მიმდინარე წლის 14 ივლისს (დადგენილება №45/2016).

მიღებული დადგენილების და მასში შესული ცვლილების შესაბამისად, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები:

- არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას;
- საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“, აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნულს ადასტურებს პირადი ხელმოწერით;
- ამომრჩევლის თანდასწრებით, ბიულეტენს (ბიულეტენებს) სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი (გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა), რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსებაში (დადგენილება №45/2016).

გარდა კანონმდებლობისა საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად ითვალისწინებს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას და ხელს უწყობს კონვენციის მიზნების განხორციელებას.

ვის აქვს საარჩევნო უფლება

პირველ რიგში უნდა განვმარტოთ, რომ საარჩევნო უფლება არის ორი სახის - აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.

აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს, როდესაც საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, ხმა მისცეს და ამ გზით მიიღოს მონაწილეობა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში (რეფერენდუმში/პლებისციტში).

პასიური საარჩევნო უფლება კი გულისხმობს, რომ საქართველოს მოქალაქეს თავად შეუძლია, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯ არო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

- საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების (რეფერენდუმის/პლებისციტის) დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს;
- არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღებს, თუ იგი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

საქართველოში არჩევნები (ისევე როგორც რეფერენდუმი და პლებისციტი) ტარდება შემდეგი ძირითადი პრინციპების თანახმად:

ა) მონაწილეობის საყოველთაო უფლება - რაც გულისხმობს, რომ საარჩევნო უფლება აქვს ყველა საქართველოს მოქალაქეს (გარდა, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ);

ბ) თანასწორი საარჩევნო უფლება - არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში ამომრჩევლები თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ და არავის აქვს უპირატესობა და ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს;

გ) პირდაპირი საარჩევნო უფლება - საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თემის საკრებულოს წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თემის მერს/გამგებელს ამომრჩევლები ირჩევენ პირდაპირ და უშუალოდ;

დ) კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა - საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ტარდება ფარული კენჭისყრით. აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას. ასევე, დაუშვებელია რაიმე სახის კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე.

რა არის ამომრჩეველთა ერთიანი სია

ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედის შემდეგი მონაცემები ამომრჩევლის შესახებ:

- გვარი, სახელი;
- დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
- მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით);
- საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი;
- ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირისთვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი პირისთვის, აგრეთვე პირისთვის, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით, აღინიშნება დროებითი საცხოვრებლის მისამართი; სხვა სახელმწიფოში მყოფი პირისთვის მიეთითება „საკონსულო აღრიცხვაზეა“, ხოლო თუ ასეთი პირი არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე – „იმყოფება უცხოეთში“);
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი;
- ფოტოსურათი (სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული უახლესი ფოტოსურათი ციფრულ ფორმატში);
- სქესი.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის ზემოაღნიშნული მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). ასევე, ცესკო უზრუნველყოფს სიის კომპიუტერული დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას.

საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება შემდეგი მონაცემები: გვარი, სახელი; ფოტოსურათი; დაბადების თარიღი; მისამართი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი; ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის რეგისტრაციის თარიღი.

აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა არჩევნების დღემდე ბოლო 10 დღის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, ხოლო არჩევნების დღემდე მე-13-დან მე-10 დღემდე ცვლილება შეიტანება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში.

დავიმახსოვროთ:

ამომრჩეველი ხმას აძლევს ამომრჩეველთა ერთიან სიაში ყოფნის შემთხვევაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოქალაქემ თავისი თავი წინასწარ გადაამოწმოს. აღნიშნულის გაკეთება შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად ვებ-ვერდზე - http://Voters.cec.goV.ge, სადაც ამომრჩეველმა უნდა შეიყვანოს 11 ნიშნა პირადი ნომერი, სახელი და გვარი და გაიაროს უსაფრთხოების ზომები. ამომრჩეველმა, რომელსაც ინტერნეტთან წვდომა არა აქვს, უნდა მიმართოს საოლქოს აარჩევნო კომისიებს, სადაც მას დახმარებას გაუწევენ.

აღსანიშნავია, რომ იმ ამომრჩეველთა სიები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საარჩევნო პერიოდში მათთვის გასაგებ ენაზეც არის განთავსებული.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიები და ბლოკები

- "სახალხო ხელისუფლება";
- "დავით თევზაძე _ საქართველოს მშვიდობისთვის";
- "ზვიადის გზა _ უფლის სახელით";
- "საქართველოს კომუნისტური პარტია _ სტალინელები" (ივანე წიკლაური)";
- "საქართველო";
- "ჩვენი სამშობლო";
- "სახალხო პარტია";
- "ევროპელი დემოკრატები";
- "საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია";
- "გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა";
- "საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია";
- "ნეიტრალური საქართველო";
- "დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი _ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი";
- "შალვა ნათელაშვილი _ საქართველოს ლეიბორისტული პარტია";
- "ცენტრისტები";
- "დემოკრატიული მოძრაობა _ ერთიანი საქართველო";
- "ირაკლი ალასანია _ თავისუფალი დემოკრატები";
- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";
- "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო";
- "ქრისტიან კონსერვატორები";
- "მერაბ კოსტავას საზოგადოება";
- "ახალი მემარჯვენეები";
- "ჯონდი ბაღათურია _ ქართული დასი";
- "ეროვნული ფორუმი";
- "უსუფაშვილი _ რესპუბლიკელები";
- "ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი";
- "თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის";
- "ხათუნა მაჭავარიანი _ "ქალთა პარტია";
- "ქართული იდეა";
- "კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე _
- "მემარცხენე ალიანსი".

კენჭისყრის დღე

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა;

- თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება;
- მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- გაიარეთ მარკირება. მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება;
- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა;
- მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი;
- კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი (ყოველ საარჩევნო ბიულეტენში);
- **თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი,** უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა;
- **თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი,** მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი;
- კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში;
- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში;
- კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი.

ჩანართის რედაქტორი — გულიზა გუბელაძე (გაზეთი P.S.)

პროექტის კოორდინატორი - მაია მამულაშვილი/ გაზეთი „კახეთის ხმა“; **საინფორმაციო მენეჯერი** - ია ბობოხიძე/გაზეთი „ახალი გაზეთი“; **იურისტ-კონსულტანტი** - პაატა ცნობილაძე; **დიზაინერი** - ირმა ბახუტაშვილი.

ჩანართი გამოცემულია საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის პროექტის „რეგიონული მედია საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისათვის“ ფარგლებში და დაფინანსებულია „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრის“ მიერ.

ტირაჟი - 30000ცალი; **საგამომცემლო მომსახურება და ბეჭდვა** - შპს „ქიმერიონი“. **საკონტაქტო ტელეფონი**: 599 10 77 94; 577 24 77 11